პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერწყიდით!

კომუნისტი

1977 კვირა 25 სექტემბერი № 225 (16965) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მეჩაიეებმა სიტყვა საქმედ აქციეს, ჯერი თქვენზეა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებს

საქართველოს მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა პირველ-სამეურნეო აქტივის მუშაკთა მიმართვა რესპუბლიკის მეურნეებისადმი და მეცხოველეებისადმი

საიუბილეო წელს კიდევ წარმატებით შრომობენ რესპუბლიკის სოფლის მშრომელები. ისინი პრაქტიკულად ახორციელებენ სკკპ XXV კრებების ისტორიულ გადაწყვეტილებებს. საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ და სერიოზულ წარმატებებს აღწევენ. ისევე როგორც მთელ ჩვენს დიდ ქვეყანაში, არნახული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სუფევს რესპუბლიკაში. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ლენინური ინტერესით სწავლობენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე.

დიდი შრომითი ენთუზიაზმის ახალი მოზღვავება გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებამ სკკპ ცენტრალური

(დასასრული მე-2 გვ.)

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

24 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვიდე პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

პლენუმზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. შ. ს. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. შ. ენდელაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მწამლავი ამხ. პ. ი. შამშინი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. გ. ე. ჩიგოგიძე, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. ზ. მაჟაშვილი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი ამხ. რ. დ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. დ. ლ. ქართველიშვილი, აგრონომი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის ბრიგადის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ა. ო. ალაბულიანი, საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. რ. ბ. ქეცბაია, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ამხ. ბ. დ. ბანძელაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შარტავა, საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ვ. ბურჯანაძე.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება. (საქინფორმი).

24 სექტემბერს გაიმართა მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენლები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. სურათზე: კრების დარბაზში. ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

საბჭოთა საქართველოში დღეს ვერ ნახავთ კაცს, რომელიც უდიდესი მადლიერების გრძნობით არ იყოს გამსჭვალული იმ გულთბილი და გულითადი მოლოცვისათვის, თქვენ რომ გამოუგზავნეთ ჩვენს სახელოვან მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს, რომლებმაც 405 ათასი ტონა, როგორც ხაზს უსვამთ თქვენ, მეტად ძვირფასი პროდუქცია — ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და გადაამუშავეს. რესპუბლიკის მშრომელები ამაყობენ, რომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად მიაღწიეს ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის გათვალისწინებულ მიჯნას.

ჩვენ, ქართველ მეჩაიეთა შრომითი გამარჯვებისადმი მიძღვნილი კრების მონაწილეებმა — კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, მექანიზატორებმა, სპეციალისტებმა და მეცნიერებმა, სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების წარმომადგენლებმა, პარტიის უმაღლეს შეფასებად მივიჩნიეთ ის სიტყვები, რომ რესპუბლიკის მეჩაიეთა შრომითი გამარჯვება „საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა ღირსეული წვლილია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებაში“. ეს სიტყვები, რომლებიც გულში ჩასწვდა საბჭოთა საქართველოს თითოეულ მშრომელს, შრომითი საგმირო საქმეებისათვის შთაგაგონებს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შთაგონებული შრომით აღსავსე ყოველი ახალი დღე გვაახლოვებს სახელოვან იუბილეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. ეს დღეები იმითაც არის ღირსსახსოვარი, რომ მთელი ხალხი იხილავს და მხურვალედ იწონებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომლის ერთ-ერთი შემოქმედი თქვენა ხართ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე თქვენს მოხსენებაში ჩამოყალიბებული აზრები და დებულებები ჩვენ აღვიქვით როგორც ხანძრალო სახელმძღვანელო იმისათვის, რომ უთუოდ შეასრულოთ საიუბილეო წლის მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ჩვენთვის დევიზად იქცა სიტყვები, რომ საბჭოთა მოქალაქეების ყველა უფლების უმთავრესი გარანტია სამშობლოს საკეთილდღეო კეთილსინდისიერი შრომაა და ჩვენი შრომითი მიღწევები ერთადერთი ღირსეული პასუხია იმ ნამდვილად ლენინური ზრუნვაზე, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, იჩენთ რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისათვის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ ზრუნვის ყველაზე მკაფიო გამოვლინება იყო პირადად თქვენი ინიციატივით მოღებული ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ. ეს დოკუმენტები ჩვენთვის კომუნისტური მშენებლობის ახალი მაღალი მიჯნების მიღწევისათვის ბრძოლის ხანგრძლივ პროგრამად გადაიქცა.

ჩვენი სახელოვანი მეჩაიეებს შესანიშნავი გამარჯვება, თქვენი გულთბილი და გულითადი მისალმება რესპუბლიკის ყველა სოფლის მშრომელს შთააგონებს ბრძოლას, როგორც მისალმებაშია აღნიშნული, ჩაის, ყურძნის, ციტრუსებისა და სხვა სამრეწველო კულტურების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში ჩვენი რესპუბლიკის წვლილის გადიდებისათვის. საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც აღფრთოვანებულია იმით, რომ ახალი მიჯნების მიღწევას უსურვებთ რესპუბლიკას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, ემზადება ღირსეულად დაამთავროს ხაიუბილეო წელი.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

ერთხელ კიდევ უდიდეს მადლობას მოგახსენებთ გულთბილი და გულითადი მოლოცვისათვის და აღგითქვამთ თქვენ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ არ დავიშურებთ ძალ-ღონეს, რათა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წელი სამოცი საბჭოთა წლის მატიანეში შევიდეს ახალი შესანიშნავი მიღწევებით, რომ იგი ჭეშმარიტად საეტაპო იყოს მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულების გზაზე.

სულითა და გულით გისურვებთ. ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ჯანმრთელობას, დაუშრეტელ ენერგიას. ახალ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის, მშვიდობისა და პროგრესის იდეალების განსამარჯვებლად.

საქართველოს მეჩაიეთა, ჩაის მრეწველობის მუშაკთა, პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენელთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რესპუბლიკური კრების მონაწილენი.

დიდება ხუთწლედის გმირებს, ზრდის გვარდიელებს — ქართველ მეჩაიეებს!

მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა, პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენელთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რესპუბლიკური კრება

გუნებამ ზეგად დაასაჩუქრა საქართველო მზით. მაგრამ დღეს მზე განსაკუთრებით თვალისმომჭრელად კაშკაშებს. დიდი და სასიხარულო დღესასწაული დაუდგა საქართველოს. ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა უდიდესი შრომითი წარმატება მოიპოვეს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა, მთელი ქართველი ხალხის უდიდესი აღფრთოვანება და აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულთბილმა და გულითადმა მილოცვამ, მისი მისალმების გულშიჩამწვდომმა და გამამხნევებელმა სიტყვებმა. პარტიის მიერ ქართველ მეჩაიეთა გარჯის მაღალი შეფასება, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის კეთილი რჩევა-დარიგება და მოწოდება — კიდევ უფრო მტკიცედ ვიბრძოლოთ ჩაის, ყურძნის, ციტრუსისა და სხვა სამრეწველო კულტურების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ოთხთას ასამს საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს ახალი გამარჯვებებისათვის, რათა წარმატებით შეასრულონ ეკონომიკა და სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც აკისრეს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვისა და მიღების წელს.

მიღწეული წარმატებები იმის შედეგია, რომ შეუპოვრად შრომობენ ქართველი მეჩაიეები, ამაღლდა მათი ოსტატობა, დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, რათა ხორცი შეასხან საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ისტორიულ გადაწყვეტილებებს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის ინტენსიური აღმავლობა, რასაც დღეს ვხედავთ, შესაძლებელი გახდა ლენინური ერთვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების, იმ ჭეშმარიტად მშობლიური მზრუნველობის მეოხებით, რომელსაც ნიადაგ იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროო და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის, ქართველი ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

გუშინ მეჩაიეთა სახელოვანი კოპორტის საუკეთესო წარმომადგენლები შეეკრბნენ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ნ. მელაძე, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ო. გ. აბესაძე, საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

გ. ჰატლგრიმსონთან ერთად ჩამოვიდნენ მისი თანმხლები პირნი — ისლანდიის ელჩი სსრ კავშირში ჰ. იონსონი, ისლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური მრჩეველი, ელჩი პ. ტორსტეინსონი, პრემიერ-მინისტრის კაბინეტის გენერალური მდივნის მოადგილე ბ. ბიარნასონი.

სტუმრებს კავშირის მხრივ პრემიერ-მინისტრს თან ახლავან სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრი ა. ა. ოშკოვი, სსრ კავშირის ელჩი ისლანდიაში გ. ნ. ფარაფონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე ვ. მ. სობოლევი და სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომიდან ისლანდიის პრემიერ-მინისტრი გ. ჰატლგრიმსონი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე გაემართნენ სტუმრისათვის გამოყოფილ რეზიდენციაში. ქუჩები, რომლებითაც კორტეჟმა ჩაიარა მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით, მორთული იყო ისლანდიის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით და მისასალმებელი ტრანსპარანტებით.

(საქინფორმი).

24 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა ისლანდიის პრემიერ-მინისტრი გეირ ჰატლგრიმსონი. სურათზე: შეხვედრა თბილისის აეროპორტში.

ო. ოურძელის და ბ. პიძაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ისლანდიის პრემიერ-მინისტრი თბილისში

24 სექტემბერს სპეციალური რეისით ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა ისლანდიის პრემიერ-მინისტრი გ. ჰატლგრიმსონი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ისლანდიის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ თბილისის აეროდრომზე ისლანდიის მთავრობის მეთაურს დახვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. ღ. კაკნაძე, საქართველოს სსრ მინისტრები გ.ნ. ჯიბლაძე, ო.დ. ქინჩლაძე, ვ.ი. კობახიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. გ. გვერდწითელი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის საკითხთა კომისიის წევრი გ. გ. ოყროშიძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ი. ო. ანდრიაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ნ. მელაძე, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ო. გ. აბესაძე, საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

სტუმრებთან ერთად ჩამოვიდნენ მისი თანმხლები პირნი — ისლანდიის ელჩი სსრ კავშირში ჰ. იონსონი, ისლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური მრჩეველი, ელჩი პ. ტორსტეინსონი, პრემიერ-მინისტრის კაბინეტის გენერალური მდივნის მოადგილე ბ. ბიარნასონი.

სტუმრებს კავშირის მხრივ პრემიერ-მინისტრს თან ახლავან სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრი ა. ა. ოშკოვი, სსრ კავშირის ელჩი ისლანდიაში გ. ნ. ფარაფონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე ვ. მ. სობოლევი და სხვა ოფიციალური პირნი.

გულითადად გვილოცავენ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ პ. გ. გილაშვილს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ზ. ა. პატარიძეს

ძვირფასო ამხანაგებო! მხურვალედ გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით მომძმე საქართველოს ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს, ყველა მშრომელს შესანიშნავ გამარჯვებას — სახელმწიფოსათვის ჩაის ოთოლის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

გულწრფელად ვიზიარებთ თქვენს სიხარულს იმ მაღალ შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებულ შრომას მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

სულითა და გულით ვისურვებთ მოძმე საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს ახალ დიდ გამარჯვებებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი;

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. თ. ვატჩენკო;

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ლიაშკო.

ძვირფასო ამხანაგებო!

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი გულითადად გილოცავენ თქვენ, საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის საიუბილეო წლის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას. თქვენ პირველად დაამზადეთ 405 ათასი ტონა ეს ძვირფასი კულტურა და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს არსებითი წვლილი შეიტანეთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელების საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულთბილმა მისალმებამ, რომელშიც დიდად არის შეფასებული რესპუბლიკის მეჩაიეთა გარჯა, ახალი სტიმული იქნება საიუბილეო წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების ახალი მიჯნების მიღწევისათვის.

გისურვებთ თქვენ, მოძმე საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს, ახალი მიღწევები და შრომითი წარმატებანი მოგეპოვებინოთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელების საქმეში, ღირსეულად შეხვედროდეთ დიდი ოქტომბრის იუბილეს.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ხ. დემირჩიანი;

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ე. სარქისოვი;

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. ტ. სარქისიანი.

დიდება ხუთწლედის გმირებს, შრომის გვარდიელებს — ქართველ მეჩაიეებს!

(დასასრული)

დიმიტრი თეატრის სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში, რათა გაძოერტათ თავიანთი აზრები და გრძნობები, თავიანთი მისწრაფება კიდევ უფრო მეტი აღმავლობით აშრომონ და საყვარელი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სცენის სიღრმეში მოჩანს ვ. ი. ლენინის ბარელიეფი. დიდ ფერად პლაკატზე ჩაის მწვანე ბუჩქების ფონზე ჯითუნულობთ:

ვალდებულება შესრულებულია!
არის 405 ათასი ტონა ჩაი!

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **პ. გ. გილაშვილი, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარაძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა, ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ე. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ხ. ე. ხაბეიშვილი,** ხუთწლედების გმირები, სახელმოხვეჭილი მეჩაიეები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სოფლის მეურნეობის, კომკავშირული მუშაკები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

დარბაზში იყვნენ აგრეთვე რესპუბლიკის, მეჩაიეობის რაიონების, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი, სპეციალისტები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზ. ა. პატარაძემ.**

შეკრებილთა ტაშის გრიალში სპეციალი პრეზიდიუმში აირჩიეს ნაკაპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა მოხსენებისათვის იძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ე. ა. შევარდნაძეს.**

დაიწყო ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენების განხილვა. მეჩაიეებმა, პარტიულმა მუშაკებმა, რესპუბლიკის ყველა მშრომელის აზრებსა და გრძნობებს გამოხატავდნენ, თქვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის აღმაფრთოვანებელი მისალმების პასუხად დამკვრელურად აშრომონ და წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი. გამოდის საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ხინთბა.** მან თქვა, რომ აფხაზეთის მშრომელებმა, რომლებიც ისწრაფვიან წარმატებით შეასრულონ პარტიის XXV ყრილობის ისტორიული წინასწარდასახულობანი, დიდი ოქტომბრის იუბილესათვის მზადებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს დაისახეს ავტონომიური რესპუბლიკის მეჩაიეობის ისტორიაში ყველაზე მაღალი მიჯნა — წელს მოეკრიფათ და სამშობლოსათვის ჩაებარებინათ 75 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს სიტყვა მათ პირნათლად შეასრულეს. სადღესასწაულო აფხაზეთის მეჩაიეებმა სამრეწველო გადამამუშავებისათვის თაბრიკებს ჩაებარეს 77 ათას ტონაზე მეტი ფოთოლი, რაც 12 ათასი ტონით სჭარბობს გეგმას და 13 ათასი ტონით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მოსავლისა და დამზადების მოცულობას.

აფხაზეთში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 7 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, რაც 1200 კილოგრამით მეტია მეათე ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით. პირველი ხარისხის ფოთლის ხვედრითმა წონამ შეადგინა 70,5 პროცენტი. როგორც მოსავლიანობის, ისე ხარისხის მხრივ შეჯიბრებაში პირველობენ გალის რაიონის მეჩაიეები, რომლებმაც საშუალოდ ჰექტარზე 8,5 ტონა მოიწიეს და პირველი ხარისხის ჩაის გამოსავლიანობა 75 პროცენტამდე გაზარდეს.

ორატორმა თქვა, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებით ფრთაშესხმული აფხაზეთის კომუნისტები და ყველა მშრომელი ახალ რეზერვებს ამოქმედებენ და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უზრუნველყონ მეჩაიეობისა და მთლიანად სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, წარმატებით გადაწყვიტონ პარტიის მიერ დასახული ყველა სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელით საქართველოს სახელოვან მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს შესანიშნავი გამარჯვება მიულოცა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ი. უნგიაძემ.**

ქართველ მეჩაიეთა ტრადიციული რესპუბლიკურ შეკრებაზე, რომელიც წელს გაიმართა ქუთაისში ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყების წინ, თქვა ორატორმა, აჭარელმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით 4.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიეყიდათ. მაგრამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დებულებებითა და დასკვნებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის დიდი იდეებითა და პრინციპებით ფრთაშესხმულმა შრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და გადაწყვიტეს დამატებით დაემზადებინათ 3.000 ტონა ჩაის ფოთოლი, ამასთან რესპუბლიკის მეჩაიეებს მოუწოდეს მიეცათ რაც შეიძლება მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა აჭარელ მეჩაიეთა ინიციატივა, რომელმაც მხურვალე გამოხმაურება პოვა რესპუბლიკაში.

აჭარელმა მეჩაიეებმა შეასრულეს სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა. მათ გადამეტ გაანაღდეს წლიური გეგმა და ვალდებულება. დამაზადეს და გადასამუშავებლად ჩაბარეს 53.606 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 9.306 ტონით მეტია. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია რეკორდული მოსავალი — 7.437 კილოგრამი ფოთოლი, რაც 572 კილოგრამით მეტია 1976 წელთან შედარებით.

ტრიბუნაზეა მახარაძის რაიონის სოფელ ჟორიანთის მეჩაიე **ვ. ყლენტი.** მან თქვა, რომ ჩაის პლანტაციების მშრომელები და ჩაის მრეწველების მუშაკები, რომლებმაც საიუბილეო წელს მოკრიფეს და გადაამუშავეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი, უსაზღვრო სიხარულს განიცდიან იმის გამო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება და ჯილოთადი, ჯილობილი სიტყვები დაამსახურეს.

საერთო წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მახარაძის რაიონის მეჩაიეებმა. მახარაძელებმა აწონ-დაწონეს ერთმანეთი შესაძლებლობანი, გაითვალისწინეს არსებული რეზერვები და იკისრეს ახალი ვალდებულება: 61 ათასი ტონის ნაცვლად მოკრიფეს გადასამუშავებლად ჩაბარეს 71 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. რაიონში საშუალო ჰექტარობიანი მოსავლიანობა 1.100 კილოგრამით გაიზარდა, ხოლო მთელი მოკრეფილი ნედლეულის 71 პროცენტი პირველ ხარისხად ჩაბარდა. წელს მანქანებით მოიკრიფა 10.600 კილოგრამი, ვიდრე კი 8.400 კილოგრამი იყო გათვალისწინებული.

მან საქართველოს მეჩაიეების, ყველა მშრომელის სახელით მადლობა მოახსენა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას. საბჭოთა მთავრობასა და პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ჩაის პლანტაციების მშრომელთა წარმატების მაღალი შეფასებისათვის და მახარაძელ მეჩაიეთა სახელით პირობა დადო, რომ კარ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას და თავდადებით აშრომეშენ სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულებისათვის.

თავის გამოსვლაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვ. ჯადანეცმა** აღნიშნა, რომ საქართველოს კომკავშირელები, მთელი ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობდნენ იმ დიდი ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც რესპუბლიკის მეჩაიეებმა იკისრეს ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებამდე. ისინი ფაქიზ ყურადღებას აქცევდნენ ბაღების ფოსტურ მოვლას, ბაღებიდან ბალახის ამოღებას, ბაღებიდან ბალახის ამოღებას, ბაღებიდან ბალახის ამოღებ

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

რომ ვაშენებთ, მოვუაროთ კიდეც

მეათე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად კაპიტალური დაბანდებანი 24-26 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ამის საფუძველზე ყოველწლიურად იზრდება სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობათა გეგმები და მაშასადამე მშენებლობის ტემპიც, რაც უშუალოდ გამომდინარეობს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანიდან — უფრო სრულად იქნეს დაკმაყოფილებული ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, განუხრელად იზრდებოდეს და უჭობესდებოდეს მათი ცხოვრების პირობები.

ეკონომიკური პოლიტიკის ეს მთავარი ამოცანა ჩაწერილია საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში და, ამრიგად იგი ჩვენი ცხოვრების განვითარების ერთ-ერთ ძირითად **კანონს** წარმოადგენს.

ქართველი მშენებლები მთელ თავიანთ ცოდნასა და ენერგიას ამბარენ ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტის საქმეს, ცდილობენ უზრუნველყონ კაპიტალური მშ**ენებ**ლობის გეგმების დროული **და** ხარისხიანი შესრულება. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბ**ინა**ო **ნაგებობათა მოვლა-პატრონობის — მეცნიერული საფუძვლები**

მშენებლობის სწრაფი ტემპი.

ამასთან ერთად საბჭოთა ადამიანების მოქალაქეობრივი მოვალეობაა, არა მარტო ის, რომ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ნაგებობანი ჩააყენონ ხალხის სამსახურში, არამედ ისიც, რომ მოვლა-შენახვის წესების სრულყოფით გაზარდონ მათი ხანგძლივობა და ამ გზით ამამაღლონ მშენებლობის ეკონომიკური ეფექტი.

სამწუხაროდ, შენობათა და ნაგებობათა საკმაოდ დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში საშიშ დეფორმაციებს იღებს, რაც ხშირად აძნელებს და ზოგჯერ კი შეუძლებელსაც ხდის მათ შემდგომ ექსპლოატაციას. ამის მაგალითები საკმაოდ ბევრია, როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. ასეთ მდგომარეობაში ვხვდებით ისეთ შენობებსაც კი, რომლებიც ჩვენი ეროვნული არქიტექტურის სიამაყეს წარმოადგენენ (საქართველოს სახარო ბიბლიოთეკა, რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი და სხვა).

ამჟამად რესპუბლიკაში არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც თავისი პირდაპირი დანიშნულებით ნაგებობებზე სისტემატურ დაკვირვებას ახდენდეს, აღრიცხავდეს კონსტრუქციებში დეფორმაციების წარმოშობას და შემდგომ განვითარებას, მეცნიერული კვლევის შედეგად არკვევდეს მათი წარმოშობის მიზეზებს და უზრუნველყოფდეს შესაფერის ღონისძიებებს.

შექმნილი ვითარების გამო დაინტერესებული უწყებები დროდადრო, როდესაც შენობა საავარიო მდგომარეობას უახლოვდება, მიმართავენ დახმარებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციას, მაგრამ ეს უკანასკნელნი, ვინაიდან მათი პირდაპირი საქმიანობა არ ითვალისწინებს ასეთი ხასიათის სამუშაოს შესრულებას, ან უარს **ამ**ბობენ მოუცლელობის გამო, **ან** თუ ასრულებენ, მათი რეკომენდაციები მეცნიერულად დასაბუთებული და სრულყოფილი ვერ არის.

ეს გარემოება მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას, იგი დიდი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობის საკითხია და შეუძლებელია მომავალშიც ასე გაგრძელდეს.

ცხადია, რომ ასეთ სამუშაოს ვერ შეასრულებენ ისეთი საწარმოო საექსპლოატაციო ხასიათის ორგანიზაციები, როგორიცაა, მაგალითად საბჭოების აღმასკომების სახბინაო სამმართველოები **ან** სხვა მსგავსი უწყებები.

მაშ როგორ უნდა მოგვარდეს ეს საქმე, ვინ უნდა შეასრულოს ასეთი სახის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სამუშაოები და როგორი შეიძლება იყოს მისი ორგანიზაციული ფორმები?

ჩვენი აზრით, ამ საქმის მოსაგვარებლად შეიძლება დაისახოს ორი გზა: პირველი — გამოინახოს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც თავისი მუშაობის ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით შეძლებს ასეთი თემატიკა თავის ძირითადი საქმიანობის გეგმაში შეიტანოს და უზრუნველყოს **მისი** გეგმაზომიერი შესრულება; მეორე — შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი უჯრედი, თუნდაც ლაბორატორიის სახით, რომელიც სამეურნეო ანგარიშის წესით შეასრულებს მხოლოდ ასეთი სახის სამუშაოებს.

ვფიქრობთ, რომ პრაქტიკულად უფრო მოსახერხებელი და სასარგებლო იქნება მეორე გზა.

ალბათ, დაინტერესებული ორგანიზაციები და უწყებები, პირველ რიგში კი ჩვენი რესპუბლიკის საქალაქო საბჭოების აღმასკომები ჩაუფიქრდებიან ამ საქმეს და გადადგამენ პრაქტიკულ ნაბიჯებს.

დ. კერესელიძე,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკველების კათედრის გამგე, პროფესორი.



25 სექტემბერი მანქანათმშენებლის დღეა

ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებლებთან ერთად საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის წელს თავიანთ დღესასწაულს — მანქანათმშენებლის დღეს ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებლები.

ქართველ მანქანათმშენებელთა რიგებში, რომლებიც ავანგარდში დგანან და ხელდამშვენებული ეგებებიან მოახლოებულ ზეიმს, არიან ბათუმელი მანქანათმშენებლები, რომელთა პროდუქციას კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობის საწარმოები.

სურათზე: ამწყობ ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები, ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ვლადიმერ ალექსეევი, იოსებ გიორგაძე და ენვერ კურტანიძე. მათ ვადამდე — მანქანათმშენებლის დღისათვის შეასრულეს ხუთწლედის პირველი ორი წლის პირადი დავალებანი.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

წინადადებები

დაზუსტებას მოითხოვს

კონსტიტუციის პროექტში მრავალ სხვა საკითხთან ერთად ფართოდ არის ასახული ახალგაზრდობის შრომის, სსრ კავშირის მოქალაქეთა პირადი საკუთრებისა და მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხები.

საჭიროდ მიმაჩნია გამოვთქვა საკუთარი მოსაზრებანი ზოგიერთი მუხლის დაზუსტების თაობაზე.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 42-ე მუხლში მითითებულია „ბავშვთა შრომის აკრძალვა“. ეს უთუოდ მოსაწონია, მაგრამ აქვე უნდა იყოს აღნიშნული ასაკი, უნდა დაემატოს ისიც, რომ ახალგაზრდების შრომითი მოწყობა, თუ მათ არასრული საშუალო განათლება მაინც არა აქვთ, აკრძალულია (გარდა არდადეგების პერიოდისა).

კონსტიტუციის პროექტის მე-12 მუხლით „სსრ კავშირის მოქალაქეებს შეიძლება პირად საკუთრებად ჰქონდეთ შრომითი შემოსავალი და დანაზოგი, საცხოვრებელი სახლი და დამხმარე საოჯახო მეურნეობა, საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების და კეთილმოწყობის საგნები“. საჭიროდ მიმაჩნია სიტყვა „საგნების“ შემდეგ ჩაემატოს: იმ რაოდენობით და მოცულობით, რაც მიზანშეწონილად არის მიჩნეული სოციალისტური საზოგადოების აზრით ან სათანადო დებულებით.

ა. შიუკაშვილი,
სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი.

ჩემი აზრით

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მე-17 მუხლში ნათქვამია, რომ საბჭოთა მოქალაქეებს აქვთ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის უფლება, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე.

ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება ამ მუხლს დაემატოს ასეთი პირობა: „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა არ უნდა იქნეს გამოყენებული საზოგადოების საზიანოდ“.

ს. კანკაძე,
პედაგოგი, ლენინგორი.

საკლესი

ტელეტაიპი გადმოგვცემს

მსოფლიოს ამბები

ვოლაპარაკება ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 24 სექტემბერი. (საკლესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო თეთრ სახლში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერს.

საფუძვლიანი საუბრის დროს, რომელიც საქმიანი ხასიათისა იყო, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხი და ამ ურთიერთობის პერსპექტივები.

ა. ა. გრომიკომ და ჯ. კარტერმა საფუძვლიანად გაუზიარეს ერთმანეთს აზრი საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი შეთანხმების დადებასთან. განიხილეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც ეხება შეიარაღების შეზღუდვასა და განიარაღებას, ახლო აღმოსავლეთს და ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ სხვა საერთაშორისო პრობლემას.

საუბარში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. კორნიენკო, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი; ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი უ. მონდეილი, სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხში ზ. ბჟეზინსკი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში მ. ტუნი და ორივე მხარის სხვა ოფიციალური პირნი.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, რომ პრეზიდენტმა კარტერმა შეხვედრის დროს ა. ა. გრომიკოს განუცხადა: „იმედი მაქვს, რომ ჩვენ ალაბს გადასცემთ ლ. ი. ბრეჟნევს და არცთუ ისე შორეულ მომავალში შევძლებთ პირადად გავიცნოთ ერთმანეთი“.

ა. ა. გრომიკომ და ს. ვენსმა უშინ განაგრძეს მოლაპარაკება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საინტერესო ბევრ საკითხზე.

ლიბანი: აღვადგინოთ მშვიდობა

ბეირუთი, 23 სექტემბერი. (საკლესი). ხელისუფლების სათავეში ყოფნის პირველი წლისთავის გამო გუშინ ტელევიზიით გამოვიდა ლიბანის პრეზიდენტი ი. სარკისი. იგი ზოგადად შეეხო შარშანდელ ამბებს და ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების შემდგომი აღდგენის პერსპექტივებს.

ამ დღეებში განსაკუთრებით დიდია ხელისუფალთა პასუხისმგებლობა, აღნიშნა ი. სარკისმა. დიდია ქვეყნის წინაშე მდგომი სიძნელეები, მათი დაძლევისათვის საჭირო სახსრები კი შეზღუდულია. მაგრამ, სიძნელეთა მიუხედავად, ჩვენ გვწამს, რომ შეგვიძლია შევაქმნათ აყვავებული და სუverენული სახელმწიფო.

ახლა, განაგრძო პრეზიდენტმა, უშიშროება აღდგენილია ლიბანის ყველა რაიონში, გარდა მისი სამხრეთი ნაწილისა, სადაც კვლავ-ნდებურად სერიოზული სიძნელეები გვაქვს. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ამ რაიონში მოვუყაროთ თავი მთელ ძალებს მშვიდობის აღსადგენად. ლიბანი ერთიანი ხალხის ერთიან ქვეყნად უნდა დარჩეს და სუverენულ იყოს მისი ყოველი მტკაველი მიწა. ლიბანმა კვლავაც უნდა შეასრულოს თავისი როლი არაბულ სამყაროში, რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს.

ამავე დროს საჭიროა ლიბანში მძიმე ბრძოლები გრძელდება. კონსერვატიული ძალების შეიარაღებული რაზმები ისრაელის ქვეგანაყოფებისა და ტანკების დახმარებით განუწყვეტლივ **უტევენ** ეროვნულ-პატრიოტული **ძალების** და პალესტინის **წინააღმდეგობის** მოძრაობის პოზიციებს ხიამის მიდამოებში.

სერიოზული შეშფოთება

რომი, 23 სექტემბერი. საკლესის კორესპონდენტი ვ. მალიშევი იტყობინება: **იტალიის კუნძულ სარდინიის მოსახლეობა სერიოზულად შეაშფოთა ცნობამ ავარიის შესახებ, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში იტალიის სანაპიროს მახლობლად განიცადა ამერიკის ატომურმა წყალქვეშა ნავმა „იუს რეიმ“.** ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლის **ცნობით,** 20 სექტემბერს ატომური ნავი წყალში ჩაშვების დროს ფსკერს დაეჯახა, მაგრამ შესძლო ზედაპირზე ამოსულიყო და კუნძულ მადალენაზე ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავების ბაზამდე მიაღწია.

„იუს რეისთან“ დაკავშირებული შემთხვევა, განაცხადა სარდინიის საოლქო ხუნტის წევრმა ორაციო ერდასმა, კვლავ შეგვახსენებს კუნძულზე ყველა სამხედრო ბაზის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის აუცილებლობას. როგორც ო. ერდასმა აღნიშნა, ამერიკის მხარესთან თავის დროზე დადებული შეთანხმება ითვალისწინებს, რომ ავარიაში მოხვედრილმა ატომურმა წყალქვეშა ნავმა უნდა დატოვოს ბაზის ტერიტორია და დაუყოვნებლივ გავიდეს ღია ზღვაში, მაგრამ ამერიკელები პირიქით მოიქცნენ. ამერიკის საზღვაო სარდლობა ცდილობს ნაკლებსაშიშად წარმოადგინოს სარდინიის ნაპირების რადიოაქტიური მოწამვლის საფრთხე, რაც შეუწყარებელია და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების მიუტევებელ უგულებელყოფას ნიშნავს, განაცხადა ო. ერდასმა.

პეკინი აღიარებს

პეკინი, 23 სექტემბერი. (საკლესი). აქ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა 1978 წლის გაზაფხულზე პეკინში მოიწვიოს სრულიად ჩინეთის მეცნიერ მუშაკთა თათბირი. ამ ცნობის ავტორები ახასიათებენ ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნიკის ახლანდელ მდგომარეობას და აღიარებენ, რომ მაო ძედუნის სიცოცხლეში მეცნიერებისა და ტექნიკის საქმე ჩინეთში დიდად დაზარალდა. ამისათვის მთელ პასუხისმგებლობას აკისრებენ ლიუ-შაო-ცის, ლინ ბიაოსა და განსაკუთრებით „ოთხთა ჯგუფს“.

„ოთხეული“, — ნათქვამია ცნობაში, — უარყოფდა, რომ მეცნიერება ხელს უწყობს წარმოების განვითარებას, აფუჭებდა სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის საჭირო მოწყობილობას, აუქმებდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, დევნიდა ინტელიგენციას, ახშობდა მეცნიერულ **აზრს.** იგი არა მარტო მოწინავე საზღვარგარეთის ტექნიკის გამოყენების წინააღმდეგი იყო, არამედ საკუთარ შემოქმედებასაც კლავდა ქვეყანაში. ამის შედეგად ჩვენი ქვეყნის მეცნიერება და ტექნიკა დიდად დაზარალდა დამნაშავეობ**ნ**ად ჩამორჩა მსოფლიო დონეს“.

ავტორები მოუწოდებენ „ოთხთა ჯგუფის მიზეზით“ დაშლილ სამეცნიერო კვლევითს დაწესებულებებს განაახლონ მუშაობა. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით არსდება მეცნიერებისა და ტექნიკის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

იბრძვიან უფლებებისათვის

დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში დღითიდღე ძლიერდება ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის. მშრომელთა განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევს უმუშევრობის დონის განუწყვეტელი ზრდა, რაც მონოპოლიების, კერძო მეწარმეთა შეუზღუდავი პარპაშის შედეგია.

სურათზე: ფრანგი მშრომელების მანიფესტაცია.

სკკდსის ფოტო.

ახალი ლექსები

ზოთა ნიშნიანიძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ჭანჭრობიდან ბაღნარამდე

ოთარ თაქთაქიშვილის „კოლხური მელოდიების“ გამო

1.

ეს როიალი კიდობანია ზღაპრული,
ისმის კოლხური დიდი წვიმების შხაპუნი.
ეს გიგანტური მუსიკალური ნიჟარა
სირინოზებმა ოსტატს მიართვეს იჯარად;
მაფშალია და
იადონი და
შაშვი და
ვარსკვლავთა წვიმა გამოწეკილი კაჟიდან.

2.

მივიარე, მოვიარე
რაც მზისგულზე ასვენია.
ხმა ასეთი მგრძნობიარე
არსად, არსად არ მსმენია.
ვინც ეს ხმები მოისმინა, — ბევრი
რამეც მოინანა:
ვოუ, ნანა,
დიდოუ, ნანა,
ვოუ, დიდა ვოი, ნანა.
ძე კი არა, ძაღლიც მიყვარს, როცა
მეგრულ მოთქმას ბაძავს:
— ვოუუ, ვოუუ....
ვავა, ვავა...
(დარდი ძაღლსაც აქცევს კაცად).
ვიჩაუქე, ვიჯომარდე, ვიომე და
ვიალქაჯე,
პონტოს მხარე გავახვიე ლაზურ-ჭანურ
იალქანში.
ჩემი სული ნეშოშია,
ელდით გამონაჩალია,
რა მეტკბობი ოშოშია,
კიდევ უფრო — მაფშალია!

3.

მიყვარს ფაცხა მეგრული,
წკნელით ნაგვირისტალი,
ბუდესავით შეკრული,
ზედ შოშიებმიმსხდარი.
მაგრამ კოღოს ოინებს ვერსად ვერ
დავუძვერი, —
ზედ ყურთან დამიხალა თურქული
მაუზერი.
წვიმაც ისევ ალქაჯობს, შეაწუხა
ფოთელიც,
თხის ყველივით დასვრიტა ოჯალეშის
ფოთოლი.
კოღო მარანს მიუხტა, ჰკრა ნესტანი
სისინა,
ამოხვრიპა ცხრა ჭური და ცხრა ღამე
იძინა.
მეათე დღეს ავსხიპეთ ისრებად და
შუბებად,
თურქს ციება შევყარეთ,
ყვითლდება და შუბდება.

. . . . . .

რა ხანია ცრურწმენას კარი გადავურაზეთ:
მღვდელი იჯდა ჭინკაზე, დიაკონი —
ტურაზე.
კუდიანი დედამთილი შეულოცავს
ჯოჯოხეთს კოჭს,
ავი რძალი, ქვრივი რძალი მიათხოვა
ოჩოკოჩს.
ყორეყორე ხის ტოტებში ძაღლის ყეფა
მისხმარტულა,
ვიღაც მოდის მთვარიანში...
— სისა, სისა, სისა ტურა...

4.

— ე, ბიჭებო, ჩაგუ მოდის,
ჩაგუ მოდის ამაღამ,
ჩაგუა თუ ოჩოკოჩი აფხორილი ამაყად?
ჩაგუ მოდის რია-რია... კარმაც
გაიჩხაკუნა,..
ჩაგუ,
ჩაგუ,
ჩაგუ,
ჩაგუ,
ჩაგუნია, ჩაგუნა...
და ხმა რეკავს ნისკარტულად
— სისა, სისა, სისა ტურა...

. . . . . .

ჭინჭრაქა გაგვიბრაგდა,
მეხად დაეცა მინდვრებს,
ჭკუაზე არის აფრაკად,

ყანას მაჩვივით გვიმტვრევს...
— აქშა, ჭინჭრაქავ, ოხერო,
ყანა-ნათესის მომხვრელო.
ჭინჭრაქას თოფი ვესროლე —
მეფე-ზარბაზნის ხელა,
ჩაფრები დავიქირავე და მივუსიე ხელად.
ვეცით და ფეხი მოვტეხეთ,
ენგურს დავუდეთ ბოგად,
ფრთა ბონდის ხიდად დაკიდე,
ზედ საქონელი მომყავს.
ჭინჭრაქას ბურტყლით მოვწანი
შეუღობავი ბოსტანი.
ბოლოს დევვივიდ გავბაწრე,
ასი დალაქით გავპარსე,
ცხრა უღელ კამეჩს დავუდე და ხონს
გავყიდე ბაზარზე.

5.

აფხაზთ მთავარ შერვაშიძეს შორს
სასელი გავარდნოდა,
მთვარისფერი ბედაური მოერთმიათ
ყაბარდოდან.
იმ მთვარისფერ ბედაურით შორი გზები
მოიმშვილდა
და კოლხური თეთრი მთვარე
მოვიტაცე ოდიშიდან.
ცხრა აკვანში ცხრა ანგელოზს
ცხრა ნაწნავი ეწვიმება,
ერთ ცხრა აკვანს კიდევ დავდგამ,
სიდედრს თუ არ ეწყინება.
ამერ-იმერს სტუმრად ველი
და ჭყონდიდელს მრჩევლად ვიწვევ,
ჩემს პირველ ძეს ვანათვლინებ
აფხაზ მთავარ შერვაშიძეს.



6.

ჩონგური და ია-ვარდი, წითელ
ბატონებო,
გვიკადრეთ და შემობრძანდით,
წითელ ბატონებო.
ეს აკვანი, ნანაია, ოქროს აკვანია,
ბაზალეთის ტბაში ვპოვეთ უკვე
რა ხანია.
შიგ წევს ღმერთი პაწაწინა,
ია ბატონებო,
ანგელოზმა ჩააწვინა,
ია ბატონებო.
ცით მოფრინდა თეთრი ცხენი,
თეთრი ურა ცხენი,
მისი კუდი, ბატონებო, ჭინკებს
უვარცხნიათ.
შუბლზე აზის თუთარჩელა,
ია ბატონებო,
ხვიჩასია თუ დარჩება,
ია ბატონებო.
გაიზრდება ჩემი ხვიჩა ცის და მიწის
გმირი,
ზედ შეჯდება ჩემი ხვიჩა წმიდა
გიორგივით.
მოუოხეთ, უგალობეთ,
წითელ ბატონებო,
დიდი ნიჭი უწყალობეთ,
წითელ ბატონებო.
მმინონსებრ გამიწვართეთ,
ია ბატონებო,
ცოტნესავით გამიზარდეთ,
ია ბატონებო.
საქართველო უდღეგრძელეთ,
წითელ ბატონებო,
ნიშა ხარი უღელგრძელი,
წითელ ბატონებო...

7.

კვირტებმა გაფინეს აპრილის საკაბე...
ყანაა სათოხნი... ახოა საკაფი...
დაჰხანი,
დათესე,
ნერგები ჩაჰყარე,
შენი ვაჟკაცობა გვიჩვენე, მახარე.
ყოველი ჭალა თუ ყოველი კორტხი
დაყურსე, დახუნძლე ჩაით და
ფორთოხლით.
კოლხი ამორძალი ვარსკვლავსაც
შესწყვიტავს,
ისეთი მარჯვეა, ისეთი ხელცქვიტა.
შენ ეგ ამორძალი თუ გიყვარს, მახარე,—
მე და ჩემი ლექსი ვიქნებით მაყარი.
კოლხო, გადღეგრძელებ
და შეგიქებ ბევრჯერ
მაგ ძირსდაუდებელ ესებუას ბეჭებს!..

8.

გზა მოთქმიდან გალობამდე,
გზა ჭონჭყოდან ბაღნარამდი —
ფერად ხმებში გამოლანდე
და ჰა, გაგვიჭაღარავდი...
„ოდოიამ“ გადახურა
ჩარი, ჩარი, ჩარირამა,
ამყვირალდა გაზაფხული,
მთებს მოადგა ხარირემად.
ჟღერს ღმერთების ჩონგურივით
ველ-მინდორი მოხნული...
საქართველოს მხარზე უზის მაფშალია
კოლხური...

მხატვარი ხ. ცინცაძე.

ჩვენი ინტერვიუ

ქორწინება, ოჯახი, განქორწინება

„კომუნისტის“ მკითხველებს ესაუბრება ჟურნალ „სოციოლოგიჩესკიე ისლედოვანიას“ მთავარი რედაქტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ანატოლი ხარჩევი

23 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში მოეწყო საბჭოთა სოციოლოგების ასოციაციის საქართველოს განყოფილების საერთო კრება, რომელზეც განიხილეს ჟურნალი „სოციოლოგიჩესკიე ისლედოვანია“.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, იურისპრუდენციის, ისტორიისა და ეკონომიკის დარგის მეცნიერული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე ჟურნალ „სოციოლოგიჩესკიე ისლედოვანიას“ მთავარი რედაქტორი, საბჭოთა სოციოლოგების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი ა. ბ. ხარჩევი, რომელიც ამ დღეებში, როგორც ხვეიმა მკითხველებმა უკვე იციან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს.

„სოციოლოგიჩესკიე ისლედოვანიესადმი“ მიძღვნილი კრება მოეწყო დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის უბილესთან, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვასთან და შვეიცარიაში მომავალ სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესთან დაკავშირებით.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა პროფესორ ანატოლი ხარჩევს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

გთავაზობთ ამ საუბარს:

— რა აზრისა ბრძანდებით, როგორც საბჭოთა კავშირის სოციოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი და ჟურნალ „სოციოლოგიჩესკიე ისლედოვანიას“ მთავარი რედაქტორი, ქართველ სოციოლოგთა ფუშაობაზე?

— საქართველოში მარქსიტულ-ლენინური სოციოლოგიის ათელი ოიგი უდაო ძიღწეკები აქვს. აქ წარმატებით მუშაობს, ჯერ-ჯერობით საოკთა კავშირში ეოთადერთი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭო, რომლის თავმჯდომარეა პროფესორი ვ. ი. ძელქაძე, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე — პროფესორი თ. მ. ჯაფარელი, და ჩვენს ქვეყანაში პირველი გამოუეხებითი სოციოლოგიიის კათედრა, ოოემელსაც პროფესორი ვ. ძ. ქვაჩახია ძეთაურობს.

საბჭოთა სოციოლოგების ასოციაციის საქართველოს განყოფილება, რომლის თავმჯდომარეა ვ. ი. ქვაჩახია, აერთიანებს არა მარტო სოციოლოგებს, არამედ მომიჯავე მეცნიერებათა წარმომადგენლებსაც — ფილოსოფოსებს, პოლიტეკონომისტებს, ფსიქოლოგებს, რაც მას საშუალებას აძლევს გამოიკვლიოს მთელი რიგი კოძპლექსური პრობლემები. მათ ძორის, უწინარეს ყოოლისა, უნდა აღინიშნოს პარტიული მუშაობის დაგეგმვაში საზოგადოებრივი აზრის როლის პრობლემა, შეგნების, პიროვნების, ოჯახის, დასვენების სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიისა (განსაკუთრებით, სოციალური განწყობის) და სხვა საკითხები.

ამასთან, ჩემი ქართველი კოლეგების მთავარ მიღწევად ის მიმაჩნია, რომ ისინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მჭიდრო კონტაქტით, ზოგჯერ კი ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა უშუალო დავალებით მუშაობენ. პარტიულ ძუმაობის პრაქტიკასთან სოციოლოგიური კვლევის კავშირის განტკიცება ჩვენი სოციოლოგიის განვითარების გენერალური გეზია.

— რას გვეტყოდით ჟურნალ „სოციოლოგიჩესკიე ისლედოვანიას“ განხილვის თაობაზე?

— ჟურნალის განხილვა მშვენიერად იყო მომზადებული და უადრესად საინტერესოდ ჩაიარა. ქართველმა სოციოლოგებმა, ფსიქოლოგებმა, ეკონომისტებმა და ფილოსოფოსებმა რამდენად მნიშვნელოვანი კრიტიკული შენიშვნა და რეკომენდაცია მოგვცეს. ჩვენი მხრივ, მათთან მხოლოდ ერთი თხოვნა გვაქვს: უფრო ხმირად გამოვიდნეს ხოლმე ჟურნალის ფურცლებზე, უფრო გულუხვად გაუზიარონ საკადრო კითხველს თავიანთი კვლევის შედეგები თანამედროვე სახოგადოებრივი განვითარების აქტუალური პრობლემების დარგში, სოციოლოგიური რეკომენდაციების არაკტიკული დანერგვის გამოცდილება.

შემდეგ შეკითხვები შეეხებოდა ქორწინებას, ოჯახს, განქორწინებას, რამდენადაც პროფესორი ა. ხარჩევი ოჯახის სოციოლოგიის გამოჩენილი სპეციალისტია.

ყოველწლიურად სსრ კავშირში 2-2,5 მილიონ ქორწილს იხდიან. ამავე დროს დიდ ქალაქებში ყოველი მესამე ცოლ-ქმარი იყრება. რას ფიქრობთ ამის თაობაზე? რა აზრისა ხართ განქორწინებებზე?

— სადაც განქორწინების თავისუფლება არ არის, იქ ვერც ქორწინების თავისუფლება იქნება. მაგრამ იქ, სადაც თავისუფლებაა, პასუხისმგებლობაც უნდა იყოს. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სიყვარულში ორნი მონაწილეობენ, მაგრამ იშვება მესამე, ახალი სიცოცხლე, ამაში საზოგადოებრივი ინტერესია, წარმოიშობა მოვალეობა კოლექტივის მიმართ. ამიტომ განქორწინებას შემთხვევით რადი ადარებენ რომაულ ღმერთს იანუსს, რომელსაც საწინააღმდეგო მხარეზე მიმართული ორი სახე აქვს — ბოროტებისა და სიკეთის სიმბოლოები.

თანაც არცთუ იშვიათად სიკეთე ფრიად პრობლემურია ხოლმე, სამაგიეროდ ბოროტება — სავსებით ოეალური, განსაკუთრებით, როცა დასგრეულ ოჯახში ბავშვები არიან. ამიტომ განქორწინების შესახებ გადაწყვეტილება ორავითხრ ძემთხვევაში არ უნდა იყოს ემოციური „აფეთქებების“, მითქმა-მოთქმის და სხვა მისთანათა შედეგი.

ზნეობრივად მომზეფებული, დინჯი ადამიანი ჩვეულებოოივ განქორწინების უფლებას მხოლოდ მაშინ იყენებს, როცა ოჯახის შენარჩუნება მართლაც შეუძლებელია და განქორწინების დადებითი შედეგები აშკარად სჭარბობს მის უარყოფითს შედეგებს.

სტატისტიკა მოწმობს, რომ განქორწინება ყოველთვის არ ნიშნავს, ახალი ოჯახის შექმნას. მაგალითად, 1975 წელს 783 ათასი ცოლ-ქმარი გაიყარა, მაგრამ მხოლოდ 414 ათასი მამაკაცი და 376 ქალი დაქორწინდა განმეორებით (ქვრივების ჩათვლით).

— ხაბჭოთა საზოგადოება არ კრძალავს და არც ხელს უწყობს განქორწინებას და ცდილობს ცოლქმრულ-ოჯახური ურთიერთობის სტაბილიზაციას. რით გამოიხატება ეს?

— უწინარეს ყოველისა მტკიცდება ოჯახის ეკონომიკური საფუძველი. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი საშუალოდ 20 პროცენტით გაიზარდა. უმჯობესდება სანინაო პირობები, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება საყოფაცხოვრებო სამსახური.

სოციოლოგიური კვლევა

— ასეა თუ ისე, ხქესთა ურთიერთობისა და მატერიალური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივია. განქორწინებათა რაცხვი მაინც არ მცირდება, რატომ?

— დოკლათის ზრდას ყოველთვის არ სდევს ხალხის იდეურ-ზეთბრივი და კულტურული დონის ასეთივე ეფექტიანი აძაღლება. მოსალოდნელია ძეშჩანური ფსიქოლოგიის რეციდივები, კერძოდ, სქესობრივ მორალშიც. ეს მით უფრო არსებითია, რომ, როგორც ვფიქრობ, ჩვენ რამდენადმე ძოგვიანებით ვაგვარებთ ქორწინებისათვის ახალგაზრდობა მომზადების სისტემას, ოჯახისათვის ფსიქოლოგიური დახმარების საძსაზურს. ახლა ეს ხარვეზი სწორდება, მაგრამ დაგვიანებით თავს იჩენს...

— როგორია, თქვენი აზრით, განქორწინების ყველაზე დამახასიათებელი მიზეზები?

— აქ არის ერთი პარადოქსი. ქორწინების სასახლეებში გამოკითხულ ახალგაზრდა წყვილთა უმრავლესობის (93 პროცენტამდე) აზოოთ, მტკიცე ოჯახის საფუძველი სიყვარულია. მაგრამ, გამოვლევის თახახმად, ქორწინებით უკმაყოფილოთა ძორის ისევ და ისევ უმრავლესობა ისინი არიან, ვინც სიყვარულით შეირთო ცოლი ან გათხოვდა. ისე არ უნდა გვეგონოს, თითქოს ეს საბუთი იყოს ანგარებითი ქორწინების სასარგებლოდ: სოციალისტურ საზოგადოებაში ამგვარი რამ წარსულს ბარდება. აღხიშნული პარადოქსი შეიძლება სულ ცოტა ორი მიზეზით ახსნათ. პირველი — სიყვარულის გამო მეტისმეტად ბევრს მოელიან ქორწინებისაგან, რაც აძლიერებს წინააღმდეგობას ცოლქმრობაზე ადამიანის წარმოდგენასა და ოჯახური ცხოვრების რეალურ სიძნელეებს შორის. მეორე მიზეზი — სიძე-პატარძალი ხშირად ცდებიან, რადგან სიყვარული ჭვრნიათ გატაცება, რასაც შემდეგ ოჯახის დანგრევა მოჰყვება ხოლმე.

— ბევრი დასავლელი სოციოლოგის აზრით, ცოლ-ქმარი ხშირად იმის გამო იყრება, რომ ქალი ვეღარ ურიგდება უთანასწორობას საზოგადოებასა და ოჯახში...

— საბჭოთა ქალი ფაქტიურად თანასწორია მამაკაცთან ცხოვრების ყველა სფეროში — პოლიტიკაში, ოოდაბაში, ოჯახში... მეტ წილ ოჯახებს — და ამას სოციოლოგიური კვლევა გვიჩვენებს — თანაბაო საწყისებზე მეთაურობს ორივე მეუღლე. გაოათლების დონის აძაღლებამ, პოოფესიების გართულებამ, რაც გაოდაუვალია მეცნიეოულ-ტექნიკური ოეგოლუციის საუკუნეში, ძატერიალური დამოუკიდებლობის შეგებამ გაგლენა მოახდინა ქალია პიროვნეიის განვითაოებაზე. ცხადია, ახლა იგი უფოო მეტს ოოითხოვს თავისი რიგეულისაგან და, მაგასადამე, იძედის გაცოუების საფოთხემაც იმატა. აქედან გაურამდე კი, ოოგოოც ცხოლილია, ოოიოდე ნაბიჯია რიება.

ეს პროობლემას მეორე მხარეც აქვს, ოჯა�n ხაბოგადოებრივი საყოფაცხოვრებო მომსახურების ჩაძოოხეიდა გაძო წინააღმდეგობა იქმნება, რადგან, ერთი ინრივ, ქალი აქტიეიო ოოლს ასრულებს სახალხო მეურნეობაში (ყოველი მეოოე მუშაკი ქალია), მეორე მხრივ კი ოჯახური ტვოითიც აწევს. ბავშვებიაინ ოჯახეაინ ქალი ძამაკაცზე ოოჯერ მეტს ძოოპობს, და ესეც გაოკვეულ დაძაბულობას ადგენა ცოლ-ქმოის ურთიერთოობაში.

— რა პრინციპები უდევს საფუძვლად ქვეყნის კანონმდებლობას განქორწიეიების შესახებ?

— ორი ძირითადი პრინციპი. პირველი: ისე მოვაწყოთ, როო გაყოოს — ხმირად ეაოეოესად ტკივნეეულ პროცესს — ფორმალური დაბრკოლეებიც აო ექმატებოდეს. ამიტომ, თუ ცოლ-ქაარს აოა ჰაკვს აოასრულწლოვანი ბავშვები და ორივე თახახმაა გაყოოაზე, განქორწინეაა სამოქალქო ადგომარეობის ჩაწერის ორგანოებში — მმაჩნი ხდება.

დანარჩენ შემთხვევებში განქორწინების გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს. აქედან გამომდინარეობს მეორე პრინციპი — მიეცეა სასამართლოს საშუალება გაეოკვეს საქმის ვითარებაძი, შეისწავლოს ასპექტები, ოომელებიც ბავშვების ბედს, ქონების საკითოლიან გაყოფას ეხება.

სასამართლო განიხილავს საკითხს, თუ ვისთან დარჩეს ბავშვი — დედასთან თუ ძამასთან. ხეეულებრივ, უპირატესობა დედას ეხიჭება. ალიმენტის ოდენობასაც საკანონმდებლო წესით ვადგენთ: ხელფასის მეოთხედი — ერთ ბავშვზე, მესამედი — ორ ბავშვზე, ნახევარი — სამ და მეტ ბავშვზე.

დაბოლოს, სასამართლო ქონების გაყოფასთან დაკავშირებულ ყველა საკითხსაც იმის საფუძველზე წყვეტს, რომ ცოლს და ქმარს საკუთრების თანაბარი უფლებები აქვთ.

— და მაინც, რას იტყვით, მეტისმეტად მარტივი ხომ არ არის განქორწინების პროცედურა?

— როგორც მოგეხსენებათ, კაციც არის და კაციც. და მათ შორის არიან ისეთნიც, რომელთა აზრით, ახლახდელი განქორწინების კანონი მართლაც მეტად ლიბერალურია. მაგრამ კანონმდებლობა უმრავლესობას გულისხმობს და სახოგადოების გვეთანარების ტენდენციას ითვალისწინებს. ამ თვალსაზრისით კი განქორწინების მოქმედი კანონი სწორი და დემოკრატიულია.

— რას იტყვით დასავლეთში გავრცელებულ კონცეფციებზე, თითქოს მონოგამიური ოჯახი უკვე ანლა სოციალური რუდიმენტი იყოს, შემდგომში კი ხქესთა ურთიერთობაში პოლიგამიური პრინციპი დაკანონდებაო, როგორც „ადამიანის ბუნებისათვის ყველაზე შესაბამისი“?

— ასეთი „პროგნოზები“ ამკარად მცდარია. ოჯახის მონოგამიური ტიპი კაცობრობის ეკონომიკური და კულტურული პროგრესის შედეგია, და კაცობრიობა ზრუნავს მისი განმტკიცების პრობლემისათვის. ქორწინების დასავლელი „რეფორმატორეაის“ უკანასკნელი აღმოჩენაა ეგრეთ წოდებული „ღია ქორწინება“. არა ძგონია, რომ ამ აღმოჩენას მასობრივად დაუჭერონ მხარი: დასავლეთის საზოგადოება ხომ მარტო იმ ადამიანებისაგან არ შედგება, რომლებისთვისაც ცხოვრების აზრი, ერთი ამერიკელი სოციოლოგისა არ იყოს, „პრიმიტიული ჰედონიზმია“. ამიტომ, ეტყობა, მაინც უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან სქესთა ურთიერთობაში პოლიგამიური პრინციპისათვის სენსაციური მოწოდებები და რეალური პროცესები ამ სფეროში, რომლებიც სხვადასხვანაირად მიმდინარეობს მოსახლეობის სხვადასხვა კლასსა და ჯგუფში.

რაც შეეხება ჩვენს საზოგადოებას, იგი სულ უფრო მტკიცე ერთიანლიანობის და ერთმნიშვნელობის მიმართულებით ვითარდება უკვე იმიტომ, რომ სისტემატიურად მაღლდება მისი ზნეობრივი და ესთეტიკური კულტურა და, შაშასადამე, ადამიანებს სულ უფრო მტკაცდ სწყურიათ, რომ წყნარდა, ფაქიზი და ლამაზი იყოს, როგორც მაიაკოვსკი ამბობდა, „ოჯახი და საქმენი სამოჯინურნი“.

ფეხბურთი

წაგება ოდესაში

გუშინ ოდესაში უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში გათამაშების ლიდერი თბილისის „დინამო“ თამაშობდა „ჩერნომორეცთან“.

დინამოელები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ბუჯირი, ბ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, დარასელია, შეგელია (ბელებამე).

ანგარიში თბილისელებმა გახსნეს (გუცაევი), მაგრამ 17 წუთის შემდეგ შეკჩენკომ შესძლო წონასწორობის აღდგენა.

მეორე ტაიმი სტუმრებმა მეტისმეტად პასიურად დაიწყეს. ოდესელებმა მთლიანად იგდეს ხელთ ინიციატივა და მე-60 წუთზე პოგორელოვმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. ამის შემდეგ თბილისელები ბევრს უტრიალეს, მაგრამ უშედეგოდ. ლიდერმა მეტად საჭირო ორი ქულა დაკარგა.

სხვა შეხვედრები

ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის კიდევ ექვსი შეხვედრა გამართა. აი, როგორი შედეგებით დამთავრდა ისინი:

ცსკა-„დინამო“ კ. — 0:1.
„ზენიტი“-„დინამო“ მ. — 0:2.
„ნეფტჩი“-„შახტიორი“ — 1:1.
„ზარია“-„კაირატი“ — 1:1.
„არარატი“-„არარატი“ — 2:0.
კრ. სოვეტ.“-„ბორპედო“—0:1.

დღეს ტურის უკანასკნელი მატჩია „ლოკომოტივი“-„დნეპრი“.

პირველი ლიგა

დიდი ანგარიშით

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ორორგ ტურში ქუთაისის „ტორპედომ“ უეასპინძლა სეერდლოვსკის „უორალთაშს“. მატჩი დიდი ანგარიშით ოოიგეს ტორპედოელებმა— 4:0. ამ შეხვედრაში ვ. ფ. „ჰეტ-თრიკი“ გაკეთა ბურკაძემ, ძან აურთიები გიატანა მე-10, 37-ე და 61-ე წუთებზე. მეოთხე გოლი აეტორია გაბიჩავე (50-ე წუთი).

ქუთაისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: მ. კვეოსაძე (მამიხაიშვილი), ძელია, სულაქვაძე, ძელიკია, სიხარულიძე, (გაბიჩავე), ოქროპირიშვილი, ჩახუხაშვილი, ქვირია, ფეტვანეიძე, ა. ყეორნაძე (შეეცოვი), ბურკაძე.

გთამაშების ერთპირონვნელი ლიდერი გახდა მოსკოვის „სპარტაკი“, რომელმაც კიევო-როგზინი ახგარიშით 3:1 დაამარცხა „კრილეტაიი“. მას ახლა 30 თამაშიდან 41 ქულა აქვს. მეორე საფეხური დათმო მინსკის „დინაამს“ ფრედ (0:0 ითამაშა ივანო-ფრანკოვსკში „სპარტაკთან“), ხოლო ტაშკენტის „პახტაკორმა“ დიდი ანგარიშით მოუგო ყაზანის „ტორპედოს“ — 4:0. ორივეს 40-40 ქულა აქვს. ქულა დაკარგა კუმეროვის „კუზბასმაც“ (აშხაბადში „ალოლოზჩიისთან“ — 0:0). ქუთაისსა „ტორპედომ“ ბურთების უკეთესი სხვაობით (29 ქულით) მე-11 ადგილზე გადაინაცვლა.

ძალოსნობა

ისევ ოქრო

დასავლეთ გერმანიის ქალაქ შტუტგარტში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის მეხუთე ოქროს მედალი დაიმსახურა საბჭოთა ძალოსანმა სერგი ჰოლტორაციდ. პირველი ქვეყმეძე წონითი კატეგორიის ათლეტების შეჯიბრებაში მან ორკერიდის ჯამში ეწევნა 375 კილოგრამი (ატაცი—167,5 კგ და აკვრა — 207,5 კგ.).

ჩოგბურთი



ხელმარჯვედ სცემდნენ ჩოგანსა

სსრ კავშირი-აშშ 2:3

ჩოგბურთის 10.000 ტრფიალის მეტი ვერ დაიტია გუშინ თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნებმა. და ვინ აკლი, კიდევ რამდენ ათას ქომაგს გადაეწურა იმედი სასახლის შემოგარენში „ხედმეტი ბილეთის“ ძებნისას... ეს დიდი ინტერესი ბუნებრივი გახლდათ: თბილისელები ხომ მაინდამაინც განებივრებული არ არიან ჩოგბურთის აღიარებულ ოსტატთა მონაწილეობით გამართული მატჩებით. და აი, ბედნიერ შემთხვევათაგან კიდევ ერთი გამონაკლისი, ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციისა და გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტის“ თაოსნობით ტრადიციულად ქცეული აშშ-სსრ კავშირის ჩოგბურთელთა შეხვედრების მეორე ტური თბილისში გაიმართა. შეგახსენებთ, რომ მოსკოვში ჩატარებული მატჩი სტუმრებმა მოიგეს ანგარიშით 4:1.

გამარჯვება ამჯერადაც სტუმრებმა ეზიმეს, მაგრამ ოდნავ უარესი ანგარიშით — 3:2. საბჭოთა ნაკრებს ორი ქულა მოუტანეს მარინა კოროშნამ და ალექსანდრე მეტრეველმა. პირველმა დაამარცხა კრისტინ შოუ (7:5), მეორემ კი მაიკლ ეასტეპი (7:6). დანარჩენ ერთსეტიან შეხვედრებში ამერიკელებმა მარჯვეს: ბილი ჯინ კინგმა დაამარცხა ოლგა მოროზოვა (6:3), გროვერ რიდმა — თეიმურაზ კაკულია (6:4), წყვილთა შეხვედრა კი ეასტეპმა და რიდმა მოუგეს კაკულიას და ვადიმ ბოროსოვს (6:3).

ამას გარდა გაიმართა დამატებითი — შერეული წყვილთა ამხანაგური შეხვედრა. ამ მინი-ასპარეზობაშიც უპირატესობა ამერიკელთა მხარეს იყო: კინგმა და ეასტეპმა გაიმარჯვეს მოროზოვა-მეტრეველის დუეტთან ბრძოლაში (7:5).

როგორც აღვნიშნეთ, მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია, იგი მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მან დიდი გამოცდილება შესძინა იმ ახალგაზრდა თბილისელ ჩოგბურთელებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ დიდ სარბიელზე არ გასულან.

გ. ირინაული.

• • •

სურათზე: მატჩის ერთ-ერთი **შეხვედრის მომენტი.**

ს. კილაძის ფოტო.

კალათბურთი

კვლავ ვერცხლი

გუშინ ბელგიაში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი ძეტოქეები — სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები.

შეხვედრის პირველი ნახევარი საბჭოთა კალათბურთელებმა სუსტად წარმართეს და 12 ქულა წააგეს. მეორე ნახევარში ისინი, მართალია, აქტიურად ამოქმედდნენ, ერიმინშვილ და ქორქიან ანგარიშში სხვაობა ხუთამდეც შეამცირეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც წააგეს 61:74.

ამრიგად, იუგოსლავიელებმა მესამედ ზედიზედ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის სახელი. ჩვენმა გუნდმა კი კვლავ ვერცხლი მოიპოვა.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიელმა კალათბურთელებმა დაამარცხეს იტალიის გუნდი — 91:81 და რვა წლის შემდეგ კვლავ გახდნენ ამ დიდი ასპარეზობის პრიზიორები.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

გაღამწყვეტი შეხვედრების წინ

ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲘᲢᲗᲐ ᲜᲐᲮᲕᲔᲕᲐᲠᲬᲘᲚᲐᲚᲣᲠᲘ

მერვე პარტიაში ჩიბურდანიძემ, პირველად ამ მატჩში, ხელი აიღო მეფის პაიკის დასაწყისზე. ეს, ცხადია, გაკეთდა მეტოქისათვის ძოელოდნელი სადებიუტო სქემის თავზე მოხვევის მიზნით. ცხობილია, რომ ბაკვინი მაია ბრაზდა და წარმატებთი მიმართავს ძველინდურ დასაწყისს. ამჯერად მან ეს გააკეთა... თეორიები. ასეთი ტაქტიკა არ არის მაინცდამაინც ახალი. ასე ხშირად იქცევიან ტალი, პეტროსიანი, ლაოსენი და სხვები. ყოველ შემთხვევაში, შაგები დასაწყისში ფრთხილად უნდა მოიქცნენ, რათა უსიამოვნო პოზიცია არ მიიღონ.

ახმილოვსკაიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამ მოულოდნელ დებიუტს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა. მისი გეგმა, გაეცალა ცენტრალური ბაღაკები და გამოეყენებინა ღია ხაზი, უდავოდ საყურადღებო გამოდგა. შავების ძალეის ცენტრში კონცენტრაციის პირობებში ჩიბურდანიძისათვის ძნელი იყო აქტიური ოპერაციების დაწყება ფრთებზე. ამასთან ახმილოვსკაიამ, რომელიც ამჯერად მხოლოდ და მხოლოდ ყოფილან მიისწრაფოდა, პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მიმართა და საიმედოდ დაიცვა ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე უჯრა. ღია ხაზზე გაიცვალა ოთხივე ეტლი. ამის ლაზიერების გაცვლაც მოაყვა და „მსუბუქი ფიგურების ენდშპილში ისეთი პოზიცია შეიქმნა, სადაც ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო მოგებისათვის ბრძოლაზე. ამ პარტიაში სულ 26 სვლა გაკეთდა. იგი გარეგნულად საკმაოდ მშვიდად ვითარდებოდა, მაგრამ მაინც არ აკლდა დიდი შინაგანი დაძაბულობა. აქ შეეძლო ბრძოლის ბედი ერთ შეცდომასაც კი გადაეწყვიტა, მაგრამ იგი არცერთ მხარეს არ მოსვლია.

ერთი სიტყვით, დღევანდელი მეცხრე პარტიის წინ კვლავ წონასწორობაა — 4:4.

მოსკოვის ყოველკვირეული „64“, რომელიც დაწვრილებით არჩევს ამ ოროთაბრძოლის ყველა პარტიას, მას „თანაბართა დავას“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ მეტოქეები ჯერჯერობით არ ირღვევენ ეიორიგეობით მოგების ტრადიციას.

დიახ, ჯერჯერობით ტალინის მატჩს მართლაც რომ „თანაბართა დავა“ შეიძლება ეწოდოს, მაგრამ საინტერესოა, რისი თქმა შეგვეძლება მეცხრე პარტიის შემდეგ...

მატჩი ისეთ სტადიაში **შევიდა,** როდესაც მისი ბედი შეიძლება ერთძა პარტიამაც კი გადაწყვეტოს...

გ. გამრეკელი.

„სპორტლოტო“

გაცნობებთ შაბათის „სპორტლოტოს“ (36-დან 5) 24 სექტემბერა გამართული ტირაჟის ეედეგები.

პირველი ტირაჟი: 16 (ცხენსნობა), 18 (ძძლეოსნობა), 1 (ცალთბურთი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 23 (წყალში ოტობა);

მეორე ტირაჟი: 3 (ბობსლეი), 35 (ბალახის ჰოკეი), 10 (ფეხბურთი), 16 (ცხენსნობა), 18 (ძძლეოსნობა).

სპორტულ ლატარიაში მთავარმა სამმართველომ შეაჯავა „სპორტლოტოსი“ და „სპორტლოტო-2“-ის 21 სექტემბეოს გამართული 38-ე ტირაჟის ძედეგები.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; ხუთი ალუა ერთი ნომრის გამოცნობისათვის კუთვნილი მოგების თანხა შეადგეს 2.216 მანეთს (2 ბარათი); ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 1.216 მანეთს (82 ბარათი); ოთხი ნომრისა — 32 მანეთს (3.503 ბარათი); სამი ნომრისა — 3 მანეთს (53.841).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერც აქ გამოიცნო ვერავინ, ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 2.895 მანეთს (17 ბარათი); ოთხი ნომრისა — 37 მანეთს (1.354 ბარათი); სამი ნომრისა — 3 მანეთს (22.985 ბარათი).

38-ე ტირაჟის მოგებათა გაცემა იწარმოების 2 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით.

(საკდეს).

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ!

— ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ ᲛᲐᲨᲝᲕᲜᲘᲚ, ᲨᲔ ᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜᲘ!

ა. ერაძის ნახატი.

პრაქტიკარი შეწყნარება ხულიგნობა!

ᲥᲐᲚᲑᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲒᲙᲘᲕᲠᲝᲒᲘᲓᲐᲜ — ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲐᲛᲓᲔ

13 ᲬᲚᲘᲡ წინანდელი „ოქროს წარმატების“ შემდეგ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები დიდი ხანია ისე ასლოს არ ყოფილან ასეთი მიღწევის განმეორებასთან, როგორც მიმდინარე სეზონში. რესპუბლიკის სპორტის მრავალრიცხოვან მოყვარულებს კარგად ესმით ეს და ძორალურ მხარდაჭერას უწევენ თავიანთ გუნდს. დინამოელთა ყოველი შეხვედრისას სტადიონის ტრიბუნები ხალხით არის გაჭედილი.

თუ თბილისელ მაყურებელთა საქციელს ობიექტურად შეგაფასებთ, უნდა ითქვას, რომ ისინი, ჩვეულებრივ, ყოველთვის გამოირჩეოდნენ კორექტულობით, სტადიონზე წესიერი მოქმედებით. ამ ტრადიციისათვის მათ არც მიმდინარე სეზონში უღალატათ, მაგრამ ზოგიერთის საქციელმა აშკარა დისონანსი შეიტანა მეტწილ გულშემატკივართა საზიზღარ განწყობილებაში. ასეთი „ჩხუბისთვის მამლაყინწები“ ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მხარს უჭერენ გუნდს. სინამდვილეში ისინი, და ეს მეტად მნიშვნელოვანია, სახელს უტეხენ რესპუბლიკას. ზედმეტი არ იქნება ამ ვაიგულშემატკივრებს, უფრო ზუსტად ხულიგნებს, მოვაგონოთ ფეხბურთის ან... სისხლის სამართლის მკაცრი კოდექსი. როგორც ცნობილია, მაყურებელთა უდისციპლინობას ცალკეულ შემთხვევებში თან სდევს სტადიონის დისკვალიფიკაცია. ყოველი ნამდვილი გულშემატკივარი დაგვეთანხმება, რომ ჩემპიონატის ფინიშზე, როცა ყოველ ქუჩას თქროს ფასი აქვს, დინამოელებისათვის საკუთარ მოედანზე გამოსვლის უფლების ჩამორთმევა შეიძლება გუნდს ოქროს და ყველა სხვა ღირსების მედლის დაკარგვის ფასად დაუჯდეს. რაკი ასეა, ტრიბუნებზე წესერიგისათვის უპირველეს ყოვლისა პასუხს აგებენ თვით მაყურებლები, თუ მათთვის ძვირფასია მშობლიური კლუბის ბედ-იღბალი.

რაც შეეხება სახსლის ხამართლის კოდექსს, იგი მკაფიოდ განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ხულიგნური ქმედებისათვის. ის, ვინც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, არა მარტო ხელს უშლის სპორტული სანახაობის ნორმალურ ჩატარებას, არამედ ნაკლებად ზრუნავს საკუთარი კეთილდღეობისთვისაც. მათ უნდა მოვაგონოთ, რომ ხულიგნობის არც ერთი შემთხვევა დაუსჯელი არ დარჩება.

თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ გუნდებს შორის ბოლო მატჩის დროს ბილეთების რეალიზაციისას ზოგიერთმა თავზე ხელაღებულმა გულშემატკივარმა გადაწყვიტა იერიში მიეტანა „ლოკომოტივის“ სტადიონის საბილეთო სალარობზე. მილიციამ მათ წესრიგისაკენ მოუწოდა, მაგრამ ხულიგნებმა „ჭაფფორება“... ავტომანქანაზე გადიტანეს.

ამათგან სამი ხულიგანი დააკავეს. ისინი აღმოჩნდნენ სურამის მესამე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ვ. კიკნაძე, თბილისის № 6 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ი. აბაკელი და ს. ქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი გ. სვანიძე. მათ ძორის ყველაზე უფროსი 18 წლისაა. ეს ის ასაკია, როცა უკვე დროა კონტროლი გაუწიო შენს საქციელს, იფიქრო მომავალზე. და რაოდენ გულსატკენია, რომ კიკნაძის დედამ, იმ სკოლის პედაგოგმა, სადაც მისი ვაჟი სწავლობს, არ შთაგონა შვილს უბრალო ჭეშმარიტება, თუ როგორ მოიქცეს საზოგადოებრივ ადგილებში. აქედან გამომდინარეობს ადრეთვე დასკვნა, რომ არც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (რექტორი — ვ. მეტრეველი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — ვ. მესხი), არც № 6 პროფტექნიკურ სასწავლებელში (დირექტორი — ი. აბუთიძე, პარტბიუროს მდივანი — ზ. ვადაჭკორია) აღმზრდელობითი მუშაობა სათანადო დონე